



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 16

2020 წელი 9 ოქტომბერი

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2020 წლის 9 ოქტომბერი გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ნოდარ გიორგიძე ირინა ტყეშელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე, რუსუდან გეწაძე, კობა მშვილდაძე, ალექსი ლომინაშვილი, სიმონ ჭოლოკავა, თეონა ფახურიძე, მამუკა გორგოძე, შადიმან გორგოძე, ზაზა ზივზივაძე, გურამი კიკნაველიძე .

საკრებულოს წევრები: სულ 21 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: შალვა მშვილდაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, ირაკლი გოგსაძე, გიორგი რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, გია სახამბერიძე, გაბრიელ ღებრაძე, მაკა მესხი შალვა დათუაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა მსხვილიძე-მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

ლაშა ენდელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საქმისწარმოების განყოფილების უფროსი.

მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 წევრმა, დაესწრო 21 საკრებულოს წევრი.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარი გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელმაც საკრებულოს წევრებს აცნობა იმის შესახებ, რომ „მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა წერილობითი წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ, 8 ოქტომბრის ბიუროს სხდომის გადაწვეტილებით სხდომის რის წესრიგში შეტანილია სამი საკითხი“ ნ. გიორგიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლაშა ენდელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საქმის წარმოების განყოფილების უფროსი.

2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის N 13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ზეგანში 30.00.474 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ხიდის დემონტაჟსა და ზეგნის ადმინისტრაციულ ერთეულში, გიგაშვილების უბანში გადატანაზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 21 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

დადგენილების პროექტი შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით წარმოადგინა, ლაშა ენდელაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საქმის წარმოების განყოფილების უფროსი.

აზრი გამოთქვა: გვანცა გრძელიძემ

საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო, გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 19 09.10.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწვეტილება მიღებულია

მომხრე- 21 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის N 13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცვლილების პროექტი წარადგინა, კახა მსხვილიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო, **სიმონ ჭოლოკავამ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 20 09.10.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე- 21 წინააღმდეგი - 1

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ზეგანში 30.00.474 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ხიდის დემონტაჟსა და ზეგნის ადმინისტრაციულ ერთეულში, გიგაშვილების უბანში გადატანაზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარადგინა, მირიან ფულარიანმა- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვა:

შადიმან გორგოძემ - სოფელ ზეგნის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი, მან აღნიშნა, რომ სოფელში არის გაუქმებული რკინის კონსტრუქციის ხიდი, რომლის დემონტაჟის შემდეგ გვინდა გადავიტანოთ ამავე სოფლის სხვა უბანში.“

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო, **სიმონ ჭოლოკავამ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 52 09.10.2020წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-21 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 21 საკრებულოს წევრი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

ნოდარი გიორგიძე